



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №67

2014 წლის 26 სექტემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წელს განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე.

1. მოწონებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წელს განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი